



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2715 2017 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მწერალთა სახლის მიერ
სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება სსიპ – მწერალთა სახლს, 2018 წლის განმავლობაში „ლიტერატურულ გაზეთში“ განსათავსებელი ლიტერატურული ნაწარმოებების (პროზაული და პოეტური ნაწარმოებები, ესე, თარგმანები, მოგონებები და ა.შ) სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის განსაზღვრული ასიგნებებიდან 19 200 (ცხრამეტი ათას ორასი) ლარის ფარგლებში.

2. განკარგულება ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი